Clarification Questions and Answers

RFCP-002-C2A-001-2022

RFCP-003-C3-001-2022

1. აქვს თუ არა ორგანიზაციას უფლება წარადგინოს განაცხადი ორივე პროგრამაზე თუ ამ ორიდან მხოლოდ ერთის არჩევა არის შესაძლებელი?

   ორგანიზაციას შეუძლია გააკეთოს განაცხადი ორივე პროგრამაზე.

   Is the organization permitted to submit the proposal for both abovementioned programs or is it expected to select just one of the two?

   Organization can apply for both programs.

2. არსებობს თუ არა გრანტისა და პროექტის ხანგრძლივობის ქვედა/მინიმალური ზღვარი?

   პროექტის ხანგრძლივობის ქვედა ზღვარი არ არსებობს.

   Is there a lower limit of grant and project duration?

   There is no lower limit on project duration.

3. აქვს თუ არა შპს-ს უფლება მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ პროექტში?

   დიახ, გრანტის პოტენციური მიმღები შეიძლება იყოს კერძო კომპანია, ბიზნეს ასოციაცია, საჯარო ან კერძო პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი და უნივერსიტეტი, პროფესიული ასოციაცია და საქართველოში დარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაცია თუ მათი პარტნიორები. „პროგრამა" გრანტებს არ გასცემს პარტნიორი მთავრობის საჯარო უწყებებზე, გარდა სახელმწიფო კოლეჯებისა და უნივერსიტეტებისა.

   Can Limited Liability Company participate in the program?

   Yes, eligible grant recipients include private companies, business associations, public or private Technical and Vocational Education Training colleges and universities, professional associations, and non-governmental organizations (NGOs) registered in Georgia and their partnerships. The Program will not provide grants to partner government entities, except to public colleges and public universities.

4. განიხილება თუ არა გრანტის მიმღები იყოს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია 2014 წელს, მაგრამ არ აქვს ფინანსური ბრუნვა, თუმცა მისი პარტნიორი არის ორგანიზაცია გამართული და ფუქციური ფინანსური ბრუნვით?

დიახ განიხილება, თუმცა შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად აღებულია წარსული გამოცდილება და ორგანიზაციული შესაძლებლობები. შესაბამისად, იმ ორგანიზაციას, რომელსაც ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში არ აქვს გამართული და მდგრადი საოპერაციო მდგომარეობა დაეწერება დაბალი შეფასებითი ქულა.

Is the grant recipient considered to be an organization that was established in 2014 but has no financial turnover, although its partner is an organization with sound and functional financial turnover?

Yes, such organization is considered, however past performance and organizational capacity are taken as one of the evaluation criteria. Consequently, an organization that has not had a smooth and stable operating condition in the last few years will be given a low rating.

5. სახელმწიფო დაწესებულებას შეუძლია თუ არა იყოს კონსორციუმის წევრი?

პარტნიორი მთავრობის საჯარო უწყებები ვერ იქნებიან გრანტის პირდაპირი მიმღებები. ასევე, დაუშვებელია საგრანტო ფონდის გახარჯვა აღნიშნული დაწესებულებების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. თუმცა მათ შეუძლიათ იყვნენ პარტნიორები (კონსორციუმის წევრები) და არსებული რესურსებით ხელი შეუწყონ აპლიკანტის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას. საჯარო უწყების პარტნიორობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დეტალურად იქნას აღწერილი მათი როლი და ჩართულობის ფორმები.

Can a Government Entity be a member of consortium?

Partner Government Entities are not eligible to receive grants. Furthermore, the Program grant financing cannot be utilized to address the needs of the Partner Government Entities. However, they can be partners of the applicants (members of consortium) and can leverage existing resources in support of the objectives set force by the applicant. In case of partnership with the Government entities, it is vital to clearly present their role and engagement forms.

6. დავუშვათ არსებული სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა ახალი სასწავლო ცენტრი (დამოუკიდებელი იურიდიული სუბიექტი), იმ მიზნით რომ კონცენტრირებული იყოს კონკრეტულ საგრანტო აპლიკაციით გათვალისწინებულ ტრენინგ მოდულებზე - ა) ეს ახალშექმნილი - ამ საგრანტო პროგრამისთვის ჩაითვლება პროექტის ვალიდურ პარტნიორად ? ბ) ეს ახალშექმნილი ცენტრი - უნდა იყოს კონსორციუმის წევრი რომ მის მიერ გაწეული ხარჯები ჩაითვალოს თანადაფინანსებაში ? და ასევე მასზე თუ შეიძლება გაიხარჯოს საგრანტო თანხა (მაგ: ლაბორატორიის მომზადება - რასაც ეს ახალშექმნილი ცენტრი გამოიყენებს).

ა) პროგრამა გრანტის პოტენციური მიმღების პარტნიორებისთვის არ აწესებს ოპერირების ხანგრძლივობის მოთხოვნას, ისევე როგორც ეს არის განსაზღვრული აპლიკანტისთვის. ბ) თანადაფინანსება შესაძლოა გაღებული იყოს როგორც აპლიკანტის ასევე, მისი პარტნიორების მიერ. პროგრამის ფარგლებში დასაშვებია დაფინანსდეს ლაბორატორიების მოწყობა და ტექნიკური აღჭურვა, თუმცა დასაბუთების ნაწილში ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები კავშირი აპლიკანტსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის.

A new training center (an independent legal entity) is established in order to concentrate on providing of training modules under the grant program - a) Will this newcomer be considered a valid project partner for this grant program? B) This newly established center - should it be a member of the consortium in order for its expenses to be considered as contribution and if a grant amount can be spent on establishment of laboratory for the training center.

A) Special registration requirements are not established for the partner organization(s), as it is set force for the applicants. B) Contribution can be accumulated from diverse sources including resources of the partner organization(s). Establishment of the laboratories and respective technical equipment is an eligible cost; however, applicant should provide augmented judgement and demonstrate linkages between the applicant and partner organization(s).

7. დამაკმაყოფილებელია თუ არა ჩამოთვლილი სავარაუდო აქტივობებიდან მხოლოდ ერთის განხორციელება? თუ აუცილებელია რამდენიმე აქტივობის განხორციელება ერთდროულად?

შესაძლებელია მხოლოდ ერთი აქტივობის განხორცილება, თუმცა მოცემული აქტივობების ჩამონათვალი არის საილუსტრაციო და არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, აპლიკანტს შეუძლია შეიმუშაოს აქტოვობები არსებულ საჭიროებებზე დაყრდნობითა და პროექტის კონცეფციის შესაბამისად. მთავარია აპლიკანტის მიერ შემოთავაზებული აქტივობები პასუხობდნენ საგრანტო კონკურსის ამოცანებს და ხელს უწყობდნენ პროგრამის მიზნების მიღწევას.

Is it possible to implement only one of the listed activities or it is necessary to choose several activities?

It is possible to implement only one activity, however the list of activities is illustrative and not mandatory, the applicant can design the activities based on the existing needs and according to the project concept. The main thing is that the activities proposed by the applicant meet the grants program goals and results of the grants program contribute to the overall program objectives.

8. 2ა კომპონენტის გრანტში აუცილებელია თუ არა პროგრამის შექმნა? და ალტერნატივად შეიძლება თუ არა განვიხილოთ სხვა დასაქმების ხელშემწყობი აქტივობა?

კომპონენტი 2ა ითვალისწინებს ახალი პროგრამების შექმნას, დანერგვას და განხორციელებას, ან არსებული პროგრამების გაუმჯობესებას.

Is it necessary to create a program under 2a component grants? And alternatively, can we consider other employment-promoting activities?

Component 2A envisages the development and implementation of new programs, or the improvement of existing programs.

9. შესაძლებელია თუ არა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზებული არსებული პროფესიული სწავლების პროგრამის (V დონე) შემუშავებისა და გაუმჯობესების კონცეფციის წარდგენა?

დიახ, დასაშვებია, რადგან აღნიშნული საგრანტო პროგრამა ხელს უწყობს უკვე არსებული პროგრამების გაუმჯობესებას, დანერგვას და განხორციელებას.

Is it possible to submit a concept paper for development and improvement of existing Vocational Training Program (Level V), authorized by National Center For Educational Quality Enhancement?

Yes, it is possible to introduce and develop the improved, already existed, Level Vth, program.

10. საგრანტო გამოცხადების ტექსტში აღნიშნულია, რომ აპლიკანტის თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს შემოთავაზებული პროექტის მთლიანი ბიუჯეტის მინიმუმ 50%-ს და გახარჯული უნდა იყოს საგრანტო პროგრამის განხორციელებსი პერიოდში, რომელიც გრძელდება საგრანტო პროგრამის დასრულების შემდეგ. თუ შეიძლება განმარტოთ რა იგულისხმება „რომელიც გრძელდება საგრანტო პროგრამის დასრულების შემდეგ“? შესაძლებელია პროგრამის განხორციელებისთვის

მობილიზებული რესურსები ჩაითვალოს თანამონაწილეობად პროგრამის განხორციელების 24 თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ.

კონტრიბუციის მინიმალური მოთხოვნა აპლიკანტის მიერ დაფარული უნდა იყოს საგრანტო პროგრამის განხორციელების პერიოდში. საგრანტო ხელშეკრულების დასრულების შემდგომ გაღებული ხარჯები არ ჩაითვლება თანამონაწილეობად.

The RFCP states, that "applicant's contribution to this activity must be minimum 50% of the total life-of-project budget for the concept, which extends beyond the grants program". Can you please specify what do you mean under "extending beyond grants program"? Will the funds "invested/contributed" to the project after 24 months be considered as "applicant's contribution"? can it still be calculated as a cost-share?

Minimum contribution by the applicant to this activity should be presented within the grant program implementation period. Cost occurred after the closure of the grant agreement cannot be accepted as a contribution.

11. ითვალისწინებს თუ არა პროექტი ადმინისტრაციული ხარჯების პროცენტულ ლიმიტს? (მაგალითად, USAID-ის სხვა პროექტებს ჰქონდათ მოთხოვნა, რომ პროექტის მონაწილეთა ხელფასი ან ზოგადად ადმინისტრაციული ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს გარკვეულ ლიმიტს, აქვს თუ არა ამ პროექტს მსგავსი შეზღუდვები?)

პროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ხარჯებს, პერსონალის ხელფასების ჩათვლით, შეზღუდვების გარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხარჯები აუცილებელია ტრენინგის პროგრამის შემუშავებისთვის, გაუმჯობესებისთვის ან რეპლიკაციისთვის და არა ტრენინგის მიწოდებისთვის. სასწავლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საოპერაციო ხარჯი, მათ შორის ტრენერების/ინსტრუქტორების ხელფასები, დაუშვებელი ხარჯებია. აპლიკანტს შეუძლია გაითვალისწინოს ეს ხარჯები თავის კონტრიბუციაში.

Does the project envision any maximum percentage for admin costs? (For example, other USAID projects have had the maximum requirement of which the salaries of project participants or the admin costs, in general, should not exceed does this project have similar limitations?)

Project envisions administration costs including staff salaries with no limitations only if these costs are necessary for training program development, improvement or replication and not for training delivery. Any operational costs related to the training programs delivery, including salaries of the trainers/instructors are unallowable costs. Applicant can count these costs toward their cost matching contribution.

12. გრანტის მიღების მეორე ეტაპზე სავალდებულო იქნება თუ არა Balance Sheet-ისა და Financial income Statement-ის წარდგენა?

მეორე ეტაპზე სავალდებულო იქნება ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენა. (არსებობის შემთხვევაში აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენა.)

Will it be mandatory to submit a Balance Sheet and a Financial Income Statement in the second stage of the grants program?

In the second stage, it will be mandatory to present the financial statements of the organization. (Audited Financial Statements, if any.)